

კონკურსში „არგადადო!“ ჩართულობის ხელშეკრულება

ერთი მხრივ, შპს „კომპანია ჯაოკენი“ (ს/კ #200031241), წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის ჯემალ ჯაოშვილის (პ/ნ 01023001565) სახით, და მეორე მხრივ _____ (პ/ნ _____) შემდგომში წოდებული როგორც „მსურველი“ ან „მონაწილე“ ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.

კონკურსის შესახებ

- 1.1. „არგადადო!“ არის სარემონტო კონკურსი, რომელში ჩაბმაც შეუძლია ნებისმიერ მსურველს რომელთაც სურთ ძველი რემონტის განახლება ან ურემონტო ფართის გარემონტება.
- 1.2. კონკურსის დაწყების თარიღია 15.08.2020 - დასრულების თარიღი 15.11.2020.
- 1.3. კონკურსანტების შეფასება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ როდესაც აიტვირტება მათ მიერ გარემონტებული ფართის სურათები.
- 1.4. გამარჯვებული გამოვლინდება 16.11.2020-ში არსებული საუკეთესო შეფასებით.
- 1.5. კონკურსში გამოვლინდება სამი გამარჯვებული სამ ნომინაციაში - „საუკეთესო სამზარეულო“ „საუკეთესო მისაღები ოთახი“ და „საუკეთესო აბაზანა“.
- 1.6. ყველა სტატუსით აქტიური კონკურსანტი, კონკურსის განმავლობაში ბენეფიტის სახით, იღებს 15% იან ფასდაკლებას სრულ ასორტიმენტზე, გარდა ჩამოფასებული პროდუქციისა.
- 1.7. გამარჯვებული გამოვლინდება საზოგადოების მიერ მინიჭებული ხმათა და ქულების უმრავლესობით - და პრიზად მიღებს 100%-იან ქეშბექს ჯაოკენში შეძენილი პროდუქციიდან.
- 1.8. ქეშბექი წარმოადგენს ნომინაციაში გამარჯვებული ოთახის იმ მასალების სრულ ღირებულებას რაც კომპანია ჯაოკენში იყო შეძენილი.

მუხლი 2.

მოთხოვნები რეგისტრაციისთვის

იმისათვის რომ მსურველი კონკურსში ჩაებას, აუცილებელია:

- 2.1. აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, რომ: იგი მხოლოდ ახლა უნდა იწყებდეს რემონტის გაკეთებას, და მისი ფართი არ უნდა იყოს შუა რემონტში.
- 2.2. უნდა მოგვაწოდოს საჭირო ინფორმაცია, როგორცაა ID ბარათი, პირადი და სათადარიგო საკონტაქტო ნომრები, გასაკეთებელი ობიექტის მისამართი, ობიექტის სრული ფართი, პასუხები რამდენიმე კვლევის კითხვაზე, და თუ რამხელაა გასაკეთებელი ოთახის ფართი.
- 2.3. მსურველი ამ გრაფაში აფიქსირებს სასურველ ნომინაციას, მონაწილეობის მისაღებად _____.
- 2.4. მსურველმა მისი პირადი ფეისბუქ ექაუნთით უნდა მოიწონოს ჩვენი გვერდი და პირად კედელზე გააზიაროს კონკურსის ვიდეო.
- 2.5. მსურველმა უნდა მოგვაწოდოს პირადი ფოტო - საიტზე განსათავსებლად.
- 2.6. მსურველმა უნდა მოგვაწოდოს გასაკეთებელი ფართის სურათები, თითო ნომინაციაზე მინიმუმ 1 ცალი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.
- 2.7. სურათების გადმოგზავნა უნდა განხორციელდეს მეილზე konkursi@jaokeni.ge
- 2.8. თუკი მოცემულ ვადაში სურათების გადმოგზავნა არ მოხდა, გაფორმებული ხელშეკრულება ბათილად იცნობა.
- 2.9. მხოლოდ ზემოთ ხსენებული სურათების გადმოგზავნის შემდეგ ხდება კონკურსანტის სტატუსი - აქტიური.

მუხლი 3.

გამარჯვებისა და პრიზის მიღების წესები

- 3.1. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება, საზოგადოების მიერ შეფასებული უმაღლესი საშუალო რეიტინგის მიხედვით.
- 3.2. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მონაწილეს ერთნაირი რეიტინგი აქვთ, მათში გამარჯვებულად ითვლება ის, რომელსაც შემფასებელთა მეტი რაოდენობა ეყოლება დაგროვილი.
- 3.3. გამარჯვებულმა რომ შეძლოს პრიზის მიღება, მის მიერ უნდა იყოს დაცული კონკურსის ყველა წესი და პირობა.
- 3.4. თითოეულ ნომინაციას აქვს შესაბამისი პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც (არსებობის შემთხვევაში) აუცილებლად კომპანია ჯაოკენში უნდა ქონდეს მონაწილეს შეძენილი.
- 3.5. თუკი აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულ კონკურსანტს, ჩამოთვლილი პროდუქტებიდან სხვაგან შეძენილი მასალა/მასალები აქვს გამოყენებული იგი პრიზს

ვერ მიიღებს და გამარჯვებულად რიგით მეორე ადგილზე მყოფი მონაწილე გამოვლინდება.

3.6. სამზარეულოს შემთხვევაში: ლამინატი, პარკეტი, კერამოგრანიტი, მეტლახი, კაფელი, შპალერი, საღებავი, სამზარეულოს შემრევი ონკანი, წებო ცემენტი და შპალერის წებო.

3.7. მისაღები ოთახის შემთხვევაში: ლამინატი, პარკეტი, კერამოგრანიტი, მეტლახი, შპალერი, საღებავი, წებო ცემენტი და შპალერის წებო.

3.8. აბაზანის შემთხვევაში: კაფელი, მეტლახი, კერამოგრანიტი, უნიტაზი, ბიდე, ხელსაბანი, ნიჟარა, აბაზანის ავეჯი, აბაზანა, საშხაპე კაბინა, ხელსაბანის შემრევი, ბიდეს შემრევი, აბაზანის შემრევი, საშხაპე შემრევი, სარკე, აბაზანის აქსესუარები (ჭიქა, ჯაგრისი, ქაღალდის საკიდი, პირსახოცის საკიდი, სასაპნე, დისპენსერი), აბაზანის გამწოვი და წებო ცემენტი.

3.9. პრიზის გაცემა მოხდება, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუმეტეს 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

____.____.2020